ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13243552**

თარიღი:**20/12/2024**

ანგარიში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

2024 წლის 01 იანვრიდან - 01 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა'' ქვეპუქტისა და ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული დანართის (რეგლამენტი) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2024 წლის 01 იანვრიდან - 01 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში შეფასდეს დადებითად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი